ხელშეკრულება #10

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(მომსახურების შესყიდვა)

ქ. ხაშური 3 ოქტომბერი, 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყის საჯარო სკოლა, ს/კ 243879424, ა/ა: GE11LB0121113032425000, ს/ს "ლიბერთი ბანკი", ხაშურის ფილიალი, LBLBRTGE22, წარმოდგენილი მისი დირექტორის – მამუკა მაჭარაშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ინდივიდუალური აუდიტორი ლია ცუცქირიძე, (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყის საჯარო სკოლის ბიუჯეტის სახსრებით მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია – აუდიტორული მომსახურების შესყიდვა (CPV: 79200000).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 10 ოქტომბრამდე;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ხაშური.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები).

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 10 ნოემბრამდე.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

8.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყის საჯარო სკოლის დირექტორი - მამუკა მაჭარაშვილი.

10.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

10.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვთ უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის	ინდ.აუდიტორი ლია ცუცქირიძე
სოფელ ვაყის საჯარო სკოლა, ს/კ: 243879424	ს/კ: 57001007721
მისამართი: ხაშური, სოფელი ვაყა	ელ-ფოსტა: lcucqiridze51@gmail.com
ტელეფონი: 599377369, ელ-ფოსტა: vaka@mes.gov.ge	ტელეფონი: 599420110
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“, LBRTGE22	ს/ს “საქართველოს ბანკი”, BAGAGE22
ა/ა: GE11LB0121113032425000	ა/ა № GE53BG0000000345577100

Lia Tsutskiridze Digitally signed by Lia Tsutskiridze
Date: 2019.10.06 22:54:24 +04'00'